პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 აგვისტო ოთხშაბათი 1971 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 188 (15098)

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ПРАВДА

17 აგვისტს მოწინავე

ᲩᲕᲔᲜᲘ წინსვლის ყოველი ნაბიჯი დაკავშირებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიურ საქმიანობასთან. ისინი წარმოადგენენ შრომითი კოლექტივების მებრძოლ პოლიტიკურ ბირთვს, ავანგარდს, რაზმავენ ადამიანებს, აღაფრთოვანებენ და მოუძღვიან დასახული მიზნისაკენ. კომუნისტები ბევრი შემოქმედებითი წამოწყების სათავესთან დგანან, პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებისათვის წარმართავენ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის საქმიანობას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს არჩევითი აქტივი — პარტჯგუფორგებად, პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების მდივნებად და წევრებად არჩეული კომუნისტები. ეს დიდი არმიაა მებრძოლებისა, რომლებიც მოწოდებული არიან იყონ მახვილ ორგანიზატორები და აღმზრდელები. მათ მინდობილი აქვთ თავიანთ კოლექტივებში უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელება, იზრუნონ ადამიანთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ მჩქეფარე, შინაარსიანი შინაპარტიული ცხოვრება, სრულყონ და გამოიყენონ მშრომელთა ideურ-პოლიტიკური აღზრდის ქმედითი ფორმები. პარტიული ამხანაგების მაღალი ნდობით აღჭურვილნი, ისინი უნდა იჩენდნენ პირადი ინიციატივის მაქსიმუმს, იყონ მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, წარმოადგენდნენ დისციპლინიანობის, პრინციპულობის და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ნიმუშს.

ახლა სულ უფრო მაღლდება შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში არჩევითი პარტიული აქტივის დამრაზმავი და მაორგანიზებელი როლი. ამას მოითხოვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. პარტიული ბიუროს, კომიტეტის, მასში არჩეული ყველა ამხანაგის პრაქტიკულ მუშაობაში ყოველდღიური დაინტერესებული მონაწილეობა მისი ქმედუნარიანობის, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის დაცვის ნიშანია.

პარტია, მისი ხელმძღვანელი ორგანოები ძალღონეს არ იშურებენ, რათა პარტიული აქტივისტები იდგნენ თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე, კარგად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს, ამაღლებდნენ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგიანობას. ხკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში განიხილა მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების პრაქტიკა წარმოებისა და მართვის სხვადასხვა უბანზე — ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სამინისტროებში. მიღებული გადაწყვეტილებანი მკაფიო ორიენტაციას აძლევენ მდივნების კადრებს, პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების წევრებს, პარტჯგუფორგებს, ყველა კომუნისტს. აქტივს დიდ დახმარებას უწევენ გადასამზადებელი კურსების ფართო ქსელი, თეორიული და მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენციები ეკონომიკის, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ პრობლემებზე. პარტიული აქტივისტები იდეურ-პოლიტიკურ წრთობას იღებენ საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებულ კურსებზე, პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მუდმივმოქმედ პარტიულ სკოლებში.

მაგრამ სწავლების მთავარ სკოლას პარტიული აქტივისტები გადიან თავიანთ ორგანიზაციებში პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ამიტომ იდგილმბრივი პარტიული ორგანოების ამოცანაა მუდამ ეხმარებოდნენ მათ ცხოვრებით აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტაში, სისტემატურად განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ მათი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებას. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიული ინფორმაცია, როგორც ხელმძღვანელობისა და აღზრდის საშუალება, უფრო ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკაში რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლები პირველადს ორგანიზაციებში, იდგილებზე დავეხმაროთ აქტივს უფრო სწრაფად და უკეთ აითვისოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის უფრო ეფექტიანი მეთოდები, უკეთ დაინახონ თავიანთი ყოველდღიური მუშაობის კავშირი პარტიის საერთო ამოცანებთან და საქმეებთან.

საუურადღებოა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის გამოცდილება. აღნიშნული საოლქო კომიტეტის მდივნები, ბიუროს წევრები, აპარატის მუშაკები რეგულარულად დადიან მშრომელთა კოლექტივებში, პირადი ურთიერთობა აქვთ არა მარტო ხელმძღვანელ კადრებთან, არამედ რიგითს კომუნისტებთანაც. საოლქო კომიტეტი პერიოდულად აწყობს საამქრო პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგების თათბირ-სემინარებს, არჩევითი აქტივისტები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ეცნობიან მოწინავე კოლექტივების მიღწევებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს არჩევითი ორგანოების ერთსულოვან კოლექტიურ მუშაობას.

არჩევითი აქტივის რაზმი შეუცვლელი როდია. წარმოებს მისი სისტემატური განახლება, ახალი ძალებით შევსება. პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აირჩიეს ბევრი ახალი მუშაკი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პრაქტიკულ სამუშაოზე. მათ შორის არიან ყველა სოციალური ფენისა და ჯგუფის, ჩვეულნის ყველა ეროვნების წარმომადგენლები. პარტორგანიზაციებისა და პარტკომების ბიუროებში არჩეულია 428 ათასი მუშა და კოლმეურნე — გაცილებით მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში.

პარტიული აქტივის ახალი შევსება განსაკუთრებულ უურადღებასა და ზრუნვას საჭიროებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული ორგანო ამას არ ითვალისწინებს. აი რა გვიჩვენა პარტიის გრიაზოვეცის რაიკომის პრაქტიკის ანალიზმა, რომელიც სკკპ ყოლოგდის საოლქო კომიტეტმა მოაწყო. აქ მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში პარტიულ ბიუროებსა და კომიტეტებში არჩეულმა ბევრმა ამხანაგმა თავისი საქმიანობა ძმროლდ მორიგ სხდომებზე დასწრებით განსაზღვრა. არავითარი კონკრეტული დავალება მათ არ ჰქონიათ და არსებითად არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ყველა განხორციელებულ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებაში. ყოველივე ეს იწვევდა კოლეგიალობის შესუსტებას ბიუროებისა და კომიტეტების მუშაობაში, ამცირებდა ეპათი საქმიანობის ეფექტიანობას, მშრომელთა კოლექტივებზე პირველადი ორგანიზაციების გავლენის ძალას.

ამას წინათ მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში გაიმართა კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და სკკპ საოლქო კომიტეტების პლენუმები, რომლებიც მიეძღვნა სკკპ XXIV ყრილობის თვალსაზრისით პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის საბის თვალსაზრისით პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის საკითხების განხილვას. პლენუმებზე მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ აქა-იქ არჩევითი აქტივის ხელმძღვანელობა ზშირად გამოიხატება მხოლოდ იმით, რომ პერიოდულად იძახებენ ზემდგომ პარტიულ ორგანოებში, რაკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იშვიათად დადიან, აქტივისტებთან შეხვედრები ზოგადი მითითებებით ამოიწურება. ხელმძღვანელობის ასეთ მეთოდებს საერთო არა აქვს რა ძირეული აქტივის აღზრდის დაკვირვებულ, გეგმაზომიერ მუშაობასთან, რომელსაც ყოველდღიურად უნდა ეწეოდნენ პარტიული კომიტეტები.

არჩევითი აქტივის ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობა ბევრად განსაზღვრავს პირველადი პარტორგანიზაციების გრძოლისუნარიანობის ნიმუშს. ეს ეს ხელს უწყობს კომუნისტთა ფართო მასების ინიციატივის განვითარებას. მათი ავანგარდული როლის გაძლიერებას. ეს კი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის საიმედო საწინდარია.

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ამ დღეებში სოფლის მშრომელები ენერგიის არ ზოგავენ, რათა ზამთრისათვის პირუტყვს უხვად ჰქონდეს ყუთიანი საკვები. საკვებმომპოვებლები მიხდვრად შოუთიბავსა და დაუზვინავს არ ტოვებენ ნთეს და ბუნებრივ ბალახს, აგროვებენ ნამჯას, დებენ სილოსს. რედაქციაში ბევრი წერილი და ინფორმაცია მოდის საკვებმომპოვებელთა და მეცხოველეთა საქმიანობაზე, მათს შეუნელებელ შრომაზე.

ალპური და სუბალპური სამოვრებისა და საოთბებს გონივრულად გამოყენება პარტიის ცხინვალის რაიკომის მეორე მდივანი **ვლ. ჩიხლაძე** — ოთხასი ერეფელი ახალგაზრდა მუყაითად შრომობს მინდვრად. ისინი აგროვებენ თივას, ნამჯას, დებენ სილოსს. მათ უკვე გათიბეს და დაზვინეს ბუნებრივი ბალახი 65 ჰექტარი ფართობიდან, დამზადდა 1.700 ცენტნერი სილოსი. ერეფველთა მაგალითით კეზვიდან ასი ახალგაზრდა მუშაობს მინდვრად, პირუტყვის საკვების დასამზადებლად. სულ რაიონში ოცდაათი ბრიგადა შეიქმნა, რომლებშიც ათასამდე ახალგაზრდა გაერთიანდა. მათ დაამზადეს რვა ათასი ცენტნერი თივა, შვიდი ათასი ცენტნერი სილოსი, დიდძალი ნამჯა და სხვ. ახალგაზრდები საზოგადოებრივ მეურნეობებს ეხმარებიან ნათესების დამუშავებაში, გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში.

წალკის რაიონში ახლა მთელი ძალით გაჩაღდა ბალახის თიბვა და ნამჯის შეგროვება, სილოსის ჩადება. გაუთიბავს არ ტოვებენ გორაკებსა თუ გზის ნაპირებს, ღარტაფებს. ყველგან, საითაც კი გაიხედავთ, თივისა და ნამჯის დიდი ძირები დგას. ზოგან ბულულები სჩარბობს, ზოგან კი თიბვა მიმდინარეობს, მზეზე შრება პირუტყვის ნამჯაც და სილოსიც.

ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲭᲧᲕᲔᲢᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲗᲘᲗᲕᲐᲪ, ᲜᲐᲛᲯᲐᲪ, ᲡᲘᲚᲝᲡᲘᲪ...

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

უუთიანი ნაკვები. ისეა სოფელ ავრანლოშიც. აქ უკვე ჩადეს 1.300 ტონა სილოსი, დაზვინეს 1.500 ტონა თივა—ეს რედაქციას აცნობა ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. აშკალოვმა.**

სოფლის მშრომელებს ამ ცხარე დღეებში აქტიურად ეხმარებიან ქალაქელი მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ დღეებში ქ. ბათუმის მანქანათსამშენებლო, გემთსამშენებლო, სარეცხი მანქანების, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური ქარხნების, სამკერვალო გაერთიანებისა და სხვა საწარმოთა ორი ათასამდე მუშა-მოსამსახურე დასვენების დღეს ენერგიულად შრომობდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მინდვრებსა და პლანტაციებში.

მეცხოველეებმა ზაფხულის დღეებში ოდნავადაც არ უნდა შეანელონ შრომის ტემპი. მათ კიდევ უფრო მეტი რაოდენობით უნდა დაამზადონ ზამთრისათვის პირუტყვის საკვები.

საჭიროა მეტი თივაც, ნამჯაც და სილოსიც.

ᲮᲝᲚᲢᲔᲣᲚᲘᲗ, რძით, უურძნითა და ხილით ამარაგებს თბილისის მოსახლეობას დიღმის მერძეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის ნაკვეთები მჭიდროდ ეკვრიან ქალაქის გარეუბნებს. მეურნეობის მუშაკები ზამთრისათვის საჭონელს მხუეე საკვებს უმზადებენ. 120 ტონის ნაცვლად უკვე 2.200 ტონა თივაა დამზადებული. ეს მეცხოველეებს საშუალებას აძლევს გაანადგურონ ნაკისრი ვალდებულებები და 400 მეწველ ძროხაზე 2.300-ის ნაცვლად 2.600 კილოგრამი რძე მიიღონ.

სურათზე: თივის დამზადება მეურნეობაში. ფოტო ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲑᲝᲡᲢᲜᲔᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და დიდი საწარმოო გამარჯვებანი მოიპოვეს. **13 აგვისტისათვის რაიონის მებოსტნეებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 14.015 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 13.200 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 13.500 ტონის ნაცვლად.**

ამ წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წილი შეიტანეს მარნეულის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ა. გასანოვი, პარტკომის მდივანი — დ. იბრაგიმოვი), ირაფლოს მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ა. გოჯაევი, პარტკომის მდივანი — გ. მეხრალიევი), კასუმლოს მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — მ. ნამაზოვი, პარტბიუროს მდივანი — ს. გასანოვი), ალამედლის ეთერ-ზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ტ. კიასოვი, პარტბიუროს მდივანი ა. მაგაროვი) და სხვა მეურნეობათა კოლექტივებმა.

მარნეულელმა მებოსტნეებმა იკისრეს დამატებითი ვალდებულება: წლის დამლევამდე სახელმწიფოს ჩაბარონ კიდევ 4 ათასი ტონა ბოსტნეული. პროდუქციის აღება და დამზადება წარმატებით გრძელდება რაიონის ბოსტნეებში. (საქდესი).



ᲙᲐᲮᲙᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲙᲠᲔᲑᲐ

საქართველოს ხალხური ეკვეს სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს მიენიჭა საპატიო წოდება — „აკადემიური“

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს ხალხური ეკვეს სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის 25 წლისთავი, რომელსაც დაარსების დღიდან უცვლელად ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილია სუხიშვილი. ამ შესანიშნავმა მხატვრულმა კოლექტივმა მთელ მსოფლიოს წარმატებით გააცნო ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნება და დიდი დამსახურებისა და ხალხური ეკვეს პროპაგანდაში მიღწეული წარმატებისათვის საქართველოს ხალხური ეკვეს სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს მიენიჭა აკადემიური ანსამბლის სპეციალური წოდება.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 176

1971 წლის 18 აგვისტო ქ. მოსკოვი

ᲐᲛᲘᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲔᲑᲘ!

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის სპეციალისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენო ავიატორებო!

ამხანაგო საბჭოთა ავიაციის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები ზეიმობენ სსრ კავშირის საპაერო ფლოტის დღეს. ეს თარიღი აღინიშნება ღირსსახსოვარ დროს, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი, არმიისა და ფლოტის მეომრები უდიდესი აღმავლობით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის საყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ზრდის სწრაფი მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გეგმაზომიერებისა და ცხოვრების კულტურული დონის აწევრ-ნაალმდეგენიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აბრკოლებენ ევროპის უშიშროების საკითხთა გადაჭრას, ცდილობენ შეინარჩუნონ და გააფართოონ ომის ჯერები დედამიწის სხვადასხვა რაიონში. აძლიერებენ მილიტარიზმს, რომელსაც ახალი მსოფლიო ომის საფრთხე მოაქვს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებულ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა თანასწორუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამას, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამხილონ და აფეთქონ მსოფლიო იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედება, შეაკავონ ყურადღების ცენტრში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების შემდგომი გადიდების საკითხები.

საბჭოთა სამხედრო ავიაცია, ისევე როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა, დღეისადაგ აღიჭურვება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით, ამაყობ შეასრულებენ სამხედრო კადრები. მეომარ-ავიატორთა მბურვალე პატრიოტიზმი, მათი უსაზღვრო ერთგულება საშობლოსადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ელინდება დაძაბული მხედრული შრომით, მხედრული მოვალეობის პატიოსანი და კეთილსინდისიერი შესრულებით. ისინი სამიედოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს საპაერო საზღვრებს, არმიისა და ფლოტის მეომართა ერთიან მწყობრში ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, სოციალიზმის დიად მონაპოვართა საგუშაგოზე.

ახალი მიღწევებით შეეგებნენ თავიანთ დღესასწაულს საბჭოთა საავიაციო მრეწველობისა და სამოქალაქო ავიაციის მშრომელები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავიატორების ჯუსურვეს ახალ მიღწევებს საბჭოთა ავიაციის განვითარებაში და დიდ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

სსრ კავშირის საპაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად ᲒᲗᲮᲝᲚᲝᲗ: დღეს, 1971 წლის 18 აგვისტოს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს საზეიმო ფიეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა საპაერო ფლოტს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝ.





ᲗᲐᲕᲘᲡ ტრადიციულ დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის საპაერო ფლოტის დღეს თბილისის აეროპორტის კოლექტივი შესანიშნავი შრომითი წარმატებებით ხვდება. მამაც და გამბედავ მფრინავებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში დაუყვავთ საპაერო ლაინერები. მრავალმა მათგანმა ჰაერში რამდენიმე ათასი საათი გაატარა.

სურათებზე: 1. (მარცხნიდან): ხომალდის მეთაური ე. ბაჩავა, მის ანგარიშზე ჰაერში გატარებული 7 ათასი საათია. 5500 საათი გაატარა ჰაერში ბორტმექანიკოსმა გ. ძიძიგურამ, 9 ათასი საათი იფრინა ხომალდის მეთაურმა ზ. მიქელაძემ, 10 ათასი საათი ხომალდის მეთაურმა ე. სიხარულიძემ და 9500 საათი ხომალდის მეთაურმა ი. მიმინოშვილმა; მარჯვნივ — ახალგაზრდა პილოტი, ხომალდის მეთაური გ. ელგენდაშვილი, რომელმაც ჰაერში 4 ათასი საათი გაატარა.

ფოტო ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲐᲫᲘᲡᲐ
(საქდესის ფოტოქრონიკა)

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ „ᲚᲣᲜᲝᲮᲝᲓ-1“ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲚᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 16 აგვისტო. (საქდესი). დღეს მოეწყო მეათე მთვარის დღის კავშირის საბოლოო სანისი „ლუნოხოდ-1“ ავტომატურ აპარატთან. 2-დან 16 აგვისტომდე წარმატებით სრულდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა თვითმავალი აპარატის ყველა სისტემისა და აგრეგატის შრომისუნარიანობის დეტალურ შესწავლას მისი მუშაობის სხვადასხვა რეჟიმში მთვარეზე მრავალი თვის ყოფნის პირობებში.

მთვარის ზედაპირის შესწავლა შეიცავდა მთლიან სამმარშრუტო საპანორამო სატელევიზიო გადაღებას. ჯერ კიდევ მეცხრე მთვარის დღეს მთლიანმა გადაღებამ დაადასტურა კვლევის ასეთი მეთოდის ეფექტიანობა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს შედარებით ვრცელი ფართობზე რელიეფის ყველა თავისებურება.

მთვარის ზედაპირის ერთი და იმავე დეტალების უფრო ზუსტი გადაღების მიზნით მომზადდა პანორამებზე მათი გადაღება სრულდებოდა სხვადასხვა წერტილიდან, რომელთა შორის მანძილი შეადგენდა 20-30 მეტრს. მთვარის ზედაპირის კვლევისას თვითმავალი აპარატი მოძრაობდა თავდაპირველად აღმოსავლეთის მიმართულებით, შემდეგ კი სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით 200-მეტრიანი კრატერის „მიფალოლუნ“, რომელიც აღმოჩნდა წინა მთვარის დღეს. ამ მოძრაობის პროცესში რეგულარულად იზომებოდა მთვარის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებანი. მეათე მთვარის დღეს მთვარე-მავლის მიერ განვლილმა გზამ შეადგინა 215 მეტრი. ამრიგად, მთვარის გზის საერთო სიგრძემ მიაღწია 10 ათას 452 მეტრს.

მთვარის ზედაპირის კვლევასთან ერთად წარმოებდა მთვარეზე და მთვარის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში რადიაციული ვითარების შესწავლა.

მეათე მთვარის დღის მანძილზე მოეწყო მთვარეზე მანძილის, ამ მანძილის ევლილების სიჩქარისა და დედამიწის მიმართ მთვარის მოძრაობის კუთხური სიჩქარის გაზომვის ექსპერიმენტი. ეს გაზომვები სრულდებოდა დედამიწის რადიოკომპლექსისა და „ლუნოხოდ-1“ აპარატის რადიოაპარატურის სისტემების საშუალებით. მიღებული შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ მთვარის ორბიტული მოძრაობისა და დედამიწა-მთვარის სისტემის მასების საერთო ცენტრის ირგვლივ მისი ბრუნვის შესასწავლად.

საბჭოთა მთვარემავლიდან მთვარის მეათე დღეს გადმოცემული მეცნიერული ინფორმაციას ამუშავებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში.

მეათე სამუშაო დღის საბოლოო სეანსში თვითმავალი აპარატი დაადგინეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს მთვარის ლაზერული ლოკაციის ექსპერიმენტების განგრძობას. მთვარემავლის საბორტო სისტემები გადაყვანილია მუშაობის სამორიგეო რეჟიმში.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარემავლის ხელსაწყოთა ნაკვეთურში წნევა და ტემპერატურა კათალისწინებულის ფარგლებშია.

მთვარის ღამე წამოვიდა ზღვის რაიონში გაგრძელდება 31 აგვისტომდე.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲚᲘᲒᲘᲐᲜ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციამ 16 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერა შეთანხმებას მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირთან და არაბულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხარეებს თანეანთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ სსრ კავშირისა და ლიბანის რესპუბლიკის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ურთიერთგაგებას და ყოველმხრივ თანამშრომლობას. გათვალისწინებულია დელეგაციების, ტურისტული ჯგუფების, ლექტორების, საინფორმაციო მასალებისა და გამოფენების გაცვლა. გადაწყვეტილია აღინიშნოს საიუბილეო და სამახსოვრო თარიღები თვითეული ქვეყნის ცხოვრებაში.

ხელი მოაწერეს აგრეთვე ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის თანამშრომლობის 1971 წლის გეგმას. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. Შ. Შ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დიდებული სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საშინაო საქმეთა მრეწველობის მინისტრი ამხ. სიმონ სეფერიანეს-ძე ლორთქიფანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Გ. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲐᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Შ. ᲙᲘᲠᲐᲑᲐᲫᲔ.

თბილისი.
1971 წლის 16 აგვისტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. Გ. Გ. ᲗᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ინჟინერი ამხ. გრიგოლ ელადიმერის-ძე ᲗᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Გ. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲐᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Შ. ᲙᲘᲠᲐᲑᲐᲫᲔ.

თბილისი.
1971 წლის 16 აგვისტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. Გ. Გ. ᲗᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საშინაო საქმეთა მრეწველობის მინისტრი ამხ. სიმონ სეფერიანეს-ძე ლორთქიფანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმ

კარებს ალებენ ახალი სკოლები

ბუნდიდ რაიონში დიდი ხანია, რაც სკოლებისათვის, მათი ნივთიერი ბაზის გაფართოებისათვის ზრუნვა გადაიქცა საყოველთაო სახალხო საქმედ. ამის შედეგია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და სხვა საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ზუგდიდის რაიონმა 4-ჯერ დაიმსახურა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო 5-ჯერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მერვე ხუთწლედში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის 14 ტიპური შენობა, ამავე წლებში რაიონში გაიხსნა 17 საშუალო და 8 რვაწლიანი სკოლა. მარტო რუხის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულია საშუალო სკოლები, საშუალო სკოლა-ინტერნატი და 3 რვაწლიანი სკოლა, სულ 7 სკოლა, სადაც სწავლობს 2 ათასამდე მოსწავლე.

ამჟამად რაიონში 42 საშუალო სკოლიდან 20 სკოლა მოთავსებულია ტიპურ კეთილმოწყობილ შენობებში, სადაც არის წყალსადენი, კანალიზაცია, გათბობა, განათება და სხვ. 12 სკოლა შესახლებულია კაპიტალურ შენობებში, რომლებიც მათ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გადასცეს უსახყიდლოდ.

— ახალ ხუთწლედში უკლებლივ ყველა სკოლა შეფასახლოთ ტიპურ სასწავლო შენობებში, რომლებსაც ექნებათ კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნოები, სპორტული დარბაზები და სხვა ნაგებობანი, — ასეთია ზუგდიდელ მშრომელთა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თაოსნობა.

ამჟამად რაიონში მშენებლობის პროცესშია 6 საშუალო სკოლისა და 2 საბავშვო ბაღის შენობა. პირველი სეტემბრისათვის ექსპლოატაციოდ გადაეცემა ანაკლია, ინგირის მეორე, რიყის საშუალო სკოლების და ჯუმის რვაწლიანი სკოლის შენობები.

სოფელ რიყეში საშუალო სკოლა მოთავსებული იყო ერთმანეთისაგან დაშორებულ 5 ხის ფარფალალა შენობაში, — გვეუბნება რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. ნარმანია, — მიმდინარე წლისათვის აქ დაიგეგმა საშუალო სკოლის სამსართულიანი ტიპური სასწავლო შენობის მშენებლობა 480 მოსწავლისათვის. მშენებლობა მიმდინარე წლის 25 იანვარს დაიწყო. რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით დღეისათვის 218 ათასი მანეთის სახარჯთაღრიცხვო შენობის საკლასო ოთახების შეღებვის სამუშაოები დარჩა.

მშენებლობას სწრაფი ტემპით აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ზუგდიდის მოძრავი მექანიზებული № 133 კოლონის კოლექტივი (უფროსი ა. ნასარაია, მთავარი ინჟინერი მ. ხასია). კალაკტოზებმა გ. არჯევანიძემ, ა. სუხიაშვილმა და ვ. ხაჩიძემ ჩქაროსნული მეთოდით მოკლე ხანში შეძლეს 1.000 კუბური მეტრი აგურის წყობის სამუშაოების შესრულება. წარმატებით იმუშავეს ფურგლების, კომკავშირელ მოსწავლეთა, მებათქაშეთა, მებეტონეთა, ელექტროგამყვანთა ბრიგადებმა. სკოლის მშენებლობას დიდი დახმარება გაუწია რიყის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მიქავა).

ამჟამად მიმდინარეობს საკლასო ოთახების შედეგა, სკოლის ეზოს წესრიგში მოყვანა და გამწვანება, ახალი სასკოლო ინვენტარის შეზიდვა და სხვ.

შავი ზღვისპირა სოფელია ანაკლია. ამ სოფლიდან ათასობით ხვიჩები და გოჩები გაუყვანიათ სტამბოლის ბაზარში გასაყიდად. გამწვარებული დედები მოტაცებულ ბავშვებს შიშველი ფეხით მისდევდნენ და კიბილით არეშარეს აყრუებდნენ. ამიტომ ხალხმა ამ სოფელსაც ანაკლია (ანა რკიანს — ანა კიბის, მეორე გაგებით — ალნარკია — გადაკიბულების სახელი) უწოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ანაკლია ბავშვთა კურორტად იქცა. მერძევეობა-მეკვლეობის საბჭოთა მეურნეობამ აქ ორსართულიანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საცხოვრებელი სახლები ააშენა, ორსართულიანი საავადმყოფო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები. მაგრამ საშუალო სკოლა მოთავსებული იყო შეუფერებელ ხის შენობაში. ეს საკითხიც პირველ საზრუნავად მიიჩნია მეურნეობის (მაშინდელი დირექტორი ო. ანთია) დირექციამ. ზემდგომი ორგანოების, ხელმძღვანელი მუშაკების მხარდაჭერით და მეურნეობის სახსრებით დაიწყო სამსართულიანი შენობის მშენებლობა 485 მოსწავლისათვის. მშენებლობას აწარმოებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის (მმართველი გ. გაბინონია) ზუგდიდის მოძრავი მექანიზებული № 26 კოლონა (უფროსი ბ. ჯინჯოლავა).

თვალს ახარებს, გულს სიხარულით ავსებს ნათელი, კრიალა ოთახები. არავითარი წუნი, არცერთი უხარისხოდ აშენებული კუთხე, იატაკი და ჭერი! ყველგან სიზუსტით შესრულებული ნამუშევარი. მშენებლებს მოაკლდათ სილა. ერთმა მშენებელთაგანმა შავი ზღვის სილით შესრულა კედლის სამუშაოები. შავი ზღვის სილა მარილიანია, გვიანამდე არ გამშრება და დასკდომა იცის. ეს მხედველობიდან როდი გამორჩათ. ახლა ეს წუნიც გამოსწორებულია.

დიდაადრიან 6 საათზე იწყება აქ მუშაობა. ზაფხულის ჭირვეულმა სიცხეებმა რომ ხელი არ შეუშალოს მშენებლებს, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის კ. ფანთიას, მეურნეობის ინჟინერ-მშენებლის ო. გვასალიას, სამუშაოთა მწარმოებლის ფ. ჭედიას და მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის რ. ჟვანიას ინიციატივით და ყოველდღიური მეთვალყურეობით ღამის განთება მოაწყეს. მებათქაშეები ა. ჟვანია, ი. კიკავა, ლ. ჭირია და სხვები ღამის ცვლაში მუშაობენ ფასადის შელესვაზე. ძირითადად მშენებლობაზე ანაკლიის მეურნეობის მუშახელია დასაქმებული. ყოველდღიურად ანაკლიის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. დიდიშვილი) 25-30 მოზრდილი მოსწავლე მუშაობს სკოლის მშენებლობაზე. მთელი სოფელი ფეხზეა დამდგარი, რომ სკოლის მშენებლობაში რაიმე წვლილი შეიტანოს. შედეგიც სასიხარულოა. ნათელ დარბაზებსა და საკლასო ოთახებში უკვე დაიწყო განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი ახალი ინვენტარის შეზიდვა.

ამჟამად მიმდინარეობს გარე სამუშაოები — ეზოს, მოედნების, სკვერების და გაზონების მოწყობა.

პირველ სეტემბერს ინგირელი ბავშვების ეზეს გაახარებს ინგირის მეორე საშუალო სკოლის შენობა, რომელსაც ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ს. ყაფლაშვილი) სახსრებით აშენებს საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის მშენებლობის საბჭო (თავმჯდომარე ვ. ზარქუა), სკოლის მშენებლობაზე დამკვრელური წესით იმუშავეს მემონტაჟეებმა, „სანტექმშენის“ რესპუბლიკური სამმართველოს ზუგდიდის უბნის (უფროსი მ. აკობია) კოლექტივმა.

ჯუმის რვაწლიანი სკოლის შენობაც პირველ სეტემბერს კარს გაუღებს მოსწავლეებს. მშენებლებმა ყველაფერი გააკეთეს სკოლის შენობის დამკვრელური წესით და ხარისხოვნად დამთავრებისათვის.

ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი გრ. შონია) დირექციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა. 480 მოსწავლისათვის აშენებს ზედა ეწერის საშუალო სკოლის სამსართულიან შენობას მეურნეობის სახსრებით. ეწელს გათვალისწინებულია 60 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

საკუთარი სახსრებით ახალ სასკოლო შენობებს აშენებენ ადგილზე რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ და ოდიშის კოლმეურნეობა.

გარდა ახლის მშენებლობისა, ზუგდიდის რაიონში დიდი სამუშაოებია მიმდინარეობს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მოვლის, მათი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებისათვის. საზოგადოებრივი და სამეურნეო სახსრებით 37 სკოლას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, შემოზიდულია 70 ათასი მანეთის ფდამ-ავეჯი, კაბინეტ-ლაბორატორიებად და სახელოსნოებად დანადგარები და მოწყობილობა.

1971-1972 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელ და პირველ კლასებში ჩარიცხული იქნება 1.965 მოსწავლე, IX კლასებში — 1.268, ბახანგრძლივებული დღის ჯგუფებში იმეცადინებს 330 ბავშვი. სულ რაიონის 85 სკოლაში ისწავლის 15.919 მოსწავლე.

ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით გადამზადებულ იქნა რაიონის სკოლების 300 მასწავლებელი.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ოფიციალური განცხადება

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის სატიტო წოდება:

ალაშიას პარმენ ერასტის-ძეს — გალის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

არავიაშვილს ბარბარე იოსების ასულს — თბილისის ყალინინის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

აშორდიას სევასტი ნესტორის-ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის განყოფილების იურისკონსულტს.

ახუბას მიხეილ ჩალის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

გველესიანს არჩილ ვალერიანის-ძეს — ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

გიორგაძეს იოსებ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საერვიზიო სამმართველოს უფროსს.

გორგოძეს ნინო ყარამანის ასულს — მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

დევდარიანს გრიგოლ გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

დიდიშვილს მარგარიტა კონდრატის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურისკონსულტს.

დილევსკაიას ია გიორგის ასულს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროს კონსულტანტს.

ერემომიშვილს ნინო ივანეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ვერულიძეს მაკარ ნარიტონის-ძეს — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

კანდელაკს ვიქტორ ვიქტორის-ძეს — თბილისის № 1 უნივერმაღის უფროს იურისკონსულტს.

კვაჭახიას ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილეს.

კომახიძეს მამია ხარიტონის-ძეს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსს.

მეგრელიშვილს თეიმურაზ ბიჭიას-ძეს — „საქართველოსმომარაგება-გასაღების“ სამმართველოს უფროს იურისკონსულტს.

მთიულიშვილს აკაკი იოსების-ძეს — თბილისის ლენინის რაიონის პროკურორს.

მირონაძეს შოთა მალაქიას-ძეს — ქ. ჭიათურის პროკურორს.

მიქაძეს ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსს.

ნადარეიშვილს გიგლა მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ნანიტაშვილს სოლომონ სერგოს-ძეს — თბილისის პროკურორის მოადგილეს.

პრავდინს ვლადიმერ მათეს-ძეს — პენსიონერს.

ეკანიას ვახტანგ გრიგოლის-ძეს — თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

ეღენტს გრიგოლ მიხეილის-ძეს — თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

როსტომაშვილს ირაკლი გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

სიხარულიძეს სერგო ილარიონის-ძეს — თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

უგრეხელიძეს გურამ პლატონის-ძეს — თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ფიჩიანს დანიელ ვასილის-ძეს — თბილისის პროკურორის უფროს თანაშემწეს.

ღუღუნიშვილს ალექსანდრე არსენის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

შაორშაძეს პლატონ თეოდორეს-ძეს — ცეკავშირის უფროს არბიტრს.

ჩერქეზიას შუშანიკ ავეტისის ასულს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ცაბოლოვას ელისაბედ ბავლეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ცაგარელს ლიდა გიორგის ასულს — საქართველოს სამეურნეო ვაჭრობის რესპუბლიკური ბაზის იურისკონსულტს.

ციმაკურიძეს გიორგი ალექსანდრეს-ძეს — თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს.

ცქვიტარიას მელქისედეკ ბესარიონის-ძეს — თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

ჭაჭიას აბესალომ ესტატეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ხომერიკს პოლტ ლევარსის-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს ამერკავკასიის რკინიგზაზე.

ხოფერიას პოლიკარპორ ათანასეს-ძეს — თბილისის პროკურორის თანაშემწეს.

ხოშტარიას ალექსანდრე გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს იურისკონსულტს.

ჯაჯანაშვილს თეიმურაზ ესტატეს-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ჭლარკავას ველან გიორგის-ძეს — ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1971 წლის 16 აგვისტო.

მეჯვრისსევის ხარაჩოები

ოგიეკტი ორი წლით ადრე გადაეცემა საექსპლოატაციოდ — ასეთია „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივის გადაწყვეტილება.

ამმერ უკვე ორი ათეული წელია, რაც თბილგვირაბმშენის ლენინის ორდენოსანი კოლექტივი სოფლად სამრეწველო ბაზების მშენებლობას აწარმოებს. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში აგებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალი ობიექტი. მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მეფრინველეობის ფაბრიკის კომპლექსი, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად სოფელ მეჯვრისსევში შენდება. ამ ორიოდე წლის წინათ მივიდნენ მეჯვრისსევში თბილისელი გვირაბმშენებლები. ახლა გვაკვირდა გადამხმარ ტრიალ მინდორს ვეღარ იცნობთ. „მეფრინველეობის „ქალაქს“ გაუშლია მხრები, ირგვლივ საბატარეო საამქროების, დამხმარე ბლოკის, აკლიმატიზატორების, ინკუბატორის შენობები, ადმინისტრაციული თუ საცხოვრებელი სახლების კორპუსები ადმართულა. მაგრამ ამ „ქალაქს“ მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვს.

90 ჰექტარ ფართობზე სხვადასხვა დანიშნულების 120 ნაგებობა განლაგდება. საპროექტო სიმძლავრის სრული ათვისების შემდეგ მეფრინველეობის ფაბრიკა რესპუბლიკის მოსახლეობას ყოველწლიურად მიაწვდის 42 მილიონამდე კვერცხს. 800 ტონა ფრინველის ხორცს. ახლოვდება ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა — მისი საწარმოო ზონა მწყობრში უნდა ჩადგეს მიმდინარე წლის ბოლოს. გეგმით საწარმო 4 წელიწადში უნდა აგებულყო, მაგრამ თბილისელმა გვირაბმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ფაბრიკა-გიგანტის მშენებლობა 2 წელიწადში დამთავრებინათ. მშენებლები სიტკვას ასრულებენ.

ფაბრიკის მშენებლობას აწარმოებს თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი ს. ჭურაძე) კოლექტივი. ობიექტის მშენებლობის უფროსი, გამოცდილი ინჟინერი ი. რუხაძე ენერგიულად შეუდგა საქმიანობას, დარაზმა კოლექტივი და ყოველთვიური დავალებებიც დიდი გადაჭარბებით სრულდება. ფაბრიკის მშენებლობაში თბილისელ გვირაბმშენებლებს აქტიურად ამოუდგნენ მხარში მეჯვრისსევის, ახალუბნის, ზერტის, ხელთუბნის, ბერშუეთის, ზედფლეთის, ხურვალეთის, ბერპუკის, ანრილის, ქვეშის და გორის რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

ფაბრიკის საწარმოო ზონის საექსპლოატაციოდ გადაცემა შემჭიდროებულ ვადებში რომ მოხდეს (საცხოვრებელი ზონის მშენებლობა გაიკვალ დამთავრდება), მიმდინარე წელს მშენებლობა დაიწყო ცალკეული საწარმოო ზონებად. ზონებს გამოცდილი ინჟინერები ვ. ბოსიკაშვილი, გ. ყიფიანი, ვ. გრიგორიანი, ა. ანცელიანი, ბ. ელიავა, რ. სირაძე, დ. გურგენიძე ხელმძღვანელობენ. გაჩაღდა შეჯიბრება, რომლის ინიციატორი იყო მშენებელთა უბანი, რომელსაც ვ. გრიგორიანი ხელმძღვანელობს, გასული წელს ჩამოვიდა მეჯვრისსევში. მიწისქვეშა მაგისტრალების მემონტაჟეებისათვის მეფრინველეობის ფაბრიკის მოწყობილობა-დანადგარების აწყობა უცხო იყო, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა. დღეს უბანი წარმატებით ამონტაჟებს ნაფრინველეებში სხვადასხვა რთულ მექანიზმებს. სამაგალითოდ შრომობენ მემონტაჟეები დ. ღონღაძე, დ. კინწურაშვილი, შ. ბაკანიძე, ა. გეგაძე, ვ. ირემაშვილი და სხვები.

ქალაქის იერს იღებს საცხოვრებელი ზონა. კოპწია სახლები ჩამწკრივებულან გზის პირას. აქ მშენებლობას ინჟინერი ბ. ელიავა ხელმძღვანელობს. სამშაობებს მაღალხარისხოვნად ასრულებენ რ. მიჩიტაშვილის კალაკოზთა და ა. ფირცხალავას დურგალთა ბრიგადები. სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაება ახალი უბანი, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს.

დიდი ხანი არ არის, რაც საავტომობილო გზების სამინისტროს № 13 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს ერთ-ერთი უბანი (უფროსი დ. მუმტარაული) ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობას შეუდგა. ორივე ზონაში უნდა მოასფალტდეს და მოიხრეშოს 500.000 კვადრატული მეტრი ფართობი. თუ რაოდენ დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ შესასრულებელი უბნის მშრომელებს, ეს კარგად ჩანს შემდეგი ციფრებით: უნდა დამუშავდეს და გატანილ იქნას 40 ათასი კუბური მეტრი მიწა, დაიყაროს 12 ათასი კუბური მეტრი ხრეში, ასფალტი უნდა დაიგოს 66 ათას კვადრატულ მეტრ გზასა და 3 ათას კვადრატულ მეტრ ტროტუარზე.

ასე რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. დაძაბული შრომა მართებთ გვირაბმშენებლებს, რომ პირობა გასაღდეს და ახალი ხუთწლედის პირველ წელს დიდი საჩუქარი გადასცენ სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ბ. კობაიძე.
გაზეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორი.

